



ბედნიერების ეკონომიკური თეორიის ანსი

ნინო ტალიკაძე

იცოდით თუ არა, რომ 20 მარტი ბედნიერების საერთაშორისო დღეა? 2012 წლის ივლისში გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ 20 მარტი ბედნიერების საერთაშორისო დღედ ელიარებინა. 20 მარტიდან 21 მარტამდე დღე ღამეს უტოლდება, სწორედ ამიტომ აირჩიეს ეს თარიღი ბედნიერების დღედ. ამ დროს დღისა და ღამის ხანგრძლივობა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში თანაბარია. გაეროს ექსპერტთა თქმით, ეს დღე, შესაძლოა, პლანეტის მცხოვრებთა თანასწორობის სიმბოლოდ იქცეს.

ალბათ, არ არსებობს ადამიანი, ვისაც ერთხელ მაინც არ უფიქრია იმაზე, თუ რა არის ბედნიერება, როდის არიან ადამიანები ბედნიერები? რომელ ქვეყანაში ცხოვრობენ ყველაზე ბედნიერი ადამიანები?

ცნობილია, რომ ადამიანები ილტვიან ბედნიერებისაკენ, რადგან ბედნიერი ადამიანი თავს კარგად გრძნობს. მეცნიერული კვლევები ადასტურებს, რომ ბედნიერება მხოლოდ ეს არ არის. ბედნიერი ადამიანი უფრო კონტაქტურია, უკეთესი მოქალაქეა, ქვეყნისა და საზოგადოების განვითარების საქმეში უფრო აქტიური და უანგაროა, უფრო ჯანმრთელია, უფრო ქველმოქმედი, უკეთესი ლიდერია.

არსებობს ბედნიერების სხვადასხვა განსაზღვრება. მეცნიერული განმარტებით, ბედნიერება არის ფსიქიკური მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება დადებითი ემოციებით და ინტენსიური სიხარულის განცდას იწვევს. ეს საკითხი დიდი აქტუალობით განიხილება ეკონომისტებს შორის. კერძოდ, ეკონომისტები ცდილობენ შეისწავლონ ბედნიერებაზე მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები.

ბედნიერების ეკონომიკური თეორიის შესახებ

ბედნიერების ეკონომიკურ თეორიას საფუძველი ჩაეყარა მცირე სახელმწიფოში – ბუტანიში. ბუტანი აგრარული ქვეყანაა, მოსახლეობის 80%-ის შემოსავლის ძირითადი წყარო მინათმოქმედება და სატყეო მეურნეობაა. ქვეყნის ლიდერები ეკონომიკის განვითარებას ბუნებრივი გარემოსა და ტრადიციული კულტურის შენარჩუნებაში ხედავენ.

ბუტანის მთლიანი შიგა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე, 2018 წლის მაჩვენებლის მიხედვით, 1,3-ჯერ ჩამორჩება საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებელს. საქმე ისაა, რომ ბუტანის ხელისუფლება მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდას არ აღიქვამს, როგორც მოსახლეობის კეთილდღეობის საზომს. ისინი კეთილდღეობის საზომად იყენებენ მთლიანი ეროვნული ბედნიერების ინდექსს. ბედნიერება ამ შემთხვევაში განიხილება, როგორც სიცოცხლით კმაყოფილება, რაც გამოწვეულია ბუნებასთან, ადამიანებთან, კულტურულ მემკვიდრეობასთან ჰარმონიით, მაშინ, როცა ეკონომიკური მდგომარეობა ქვეყანაში არასახარბიელოა.



მთლიანი ეროვნული ბედნიერების ინდექსი მოიცავს 9 ძირითად კუთხეს:

- | | | | |
|---|---|-------------------------------|---|
| 1 ფსიქოლოგიური კეთილდღეობა |  | 5 ეკოლოგიური მდგრადობა |  |
| 2 დროის გამოყენება |  | 6 სოციალისტური დონე |  |
| 3 საზოგადოების სიწმინდისუნარიანობა |  | 7 ჯანმრთელობა |  |
| 4 კულტურული მრავალფეროვნება |  | 8 განათლება |  |
| | | 9 მთავრობა |  |

ეკონომიკა

ეკონომიკური ზრდა და მისი შენარჩუნება, ინფლაციისა და უმუშევრობის დაბალი დონე, განათლების მაღალი დონე, მაღალი აკადემიური მიღწევები, ხარისხიანი ჯანდაცვა და ჯანსაღი გარემოს შექმნა – ეს ყველაფერი უზრუნველყოფს ერთიანი ეროვნული ბედნიერების ფორმირებას. ასეთი კონცეფცია წარმოადგინა ბუტანის სამეფომ. კონცეფციის თანახმად, ეკონომიკური განვითარების უპირველესი მიზანი არის საზოგადოების ბედნიერება. გამომდინარე აქედან, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბედნიერება და ეკონომიკა ურთიერთდამოკიდებული ცნებებია.

უმუშევრად ითვლება 15 წლისა და უფროსი ასაკის პირი, რომელიც არ მუშაობდა (ერთ საათსაც კი) გამოკითხვამდე 7 დღის განმავლობაში, ეძებდა სამუშაოს ბოლო 4 კვირა და მზად იყო მუშაობის დასაწყებად მომავალი 2 კვირის მანძილზე.

უმუშევრობის დონე – უმუშევართა პროცენტული წილი ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში.



სხვადასხვა მეცნიერ-ეკონომისტის კვლევაში ბედნიერების თემა განსხვავებულად არის წარმოდგენილი. მაგალითად, ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, შემოსავალი ბედნიერების მნიშვნელოვანი ფაქტორია, შესაბამისად, დადგენილია, რომ მდიდარი ადამიანები უფრო ბედნიერები არიან, ვიდრე შედარებით დაბალშემოსავლიანი ფენა. მეცნიერები იმასაც აღნიშნავენ, რომ უფრო ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში დამოკიდებულება საშუალო შემოსავალსა და ბედნიერების საშუალო დონეს შორის არ არის ნათელი, რადგან სხვა მრავალი ფაქტორის გათვალისწინებაა საჭირო.

სხვა კვლევაში აღნიშნულია, რომ საზოგადოებრივ ბედნიერებაზე, შემოსავალთან ერთად, გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა ინფლაცია და უმუშევრობა, განათლება და ჯანმრთელობა. ნათელია, რომ უმუშევრობა და ინფლაცია ბედნიერებაზე უარყოფითად მოქმედებს. ამასთან, უმუშევრობის ეფექტი უფრო ძლიერია, ვიდრე ინფლაციისა. ასევე, კვლევებით დადგენილია, რომ:

ასაკის 1 წლით მატება იწვევს ბედნიერების 0.2%-ით ზრდას



ბავშვების ჩაოქრობის ზრდა ბედნიერების მაჩვენებელს 0.24%-ით ამცირებს



ჯანმრთელი აღიარება აჩიან 20%-ით უფრო ბედნიერები, ვიდრე სუსტი ჯანმრთელობის მქონენი













ქონიერება დადაბრითად მოქმედებს ბედნიერებაზე




ბედნიერი ქვეყნების საერთაშორისო რეიტინგები

რომელი ქვეყნები მიიჩნევა ყველაზე ბედნიერად და რა კრიტერიუმებით ხდება მათი შეფასება? მსოფლიო ბედნიერების ანგარიშიში (World Happiness Report) ბედნიერება ფასდება შემდეგი ექვსი ფაქტორის გამოყენებით:

<p>1 მთლიანი შიგა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე</p>  	<p>2 სისოცხლის ხანგრძლივობა</p>  	<p>3 სოციალური მხარდაჭერა</p>  
<p>4 კონფიდენციალური პროცენტული მაჩვენებელი</p> 	<p>5 თავისუფლების ხარისხი გადაწყვეტილების მიღების დროს</p> 	<p>6 სიკეთე (იზოქსია ქვედმოქმედებით)</p>  


2019 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად, ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა:



უნდა აღინიშნოს, რომ პირველი ათი ქვეყანა განვითარებულ ქვეყნებს მიეკუთვნება, ბედნიერების ქვედა დონეზე კი ნაკლებად განვითარებული ქვეყნები არიან წარმოდგენილი. ბედნიერების დონის დაბალი მაჩვენებლით გამოირჩევა აფრიკის ქვეყნებიც. ეს გამოწვეულია სხვადასხვა ფაქტორით, კერძოდ: უმუშევრობის მაღალი დონით, ჯანდაცვისა და განათლების დაბალი მაჩვენებლით, ინფრასტრუქტურის განვითარების დაბალი დონით, საკვებისა და წყლის შეზღუდული მარაგებით, დანაშაულის მაღალი მაჩვენებლით და ა.შ.

ბედნიერი ქვეყნების რეიტინგს ასევე ბედნიერების საერთაშორისო ინდექსით (Happy Planet Index (HPI)) განსაზღვრავენ. იგი გვიჩვენებს მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში როგორ ახერხებენ ქვეყნები ბედნიერების მიღწევას ისე, რომ პლანეტის ბედნიერებაც შეინარჩუნონ. ინდექსი 2006 წელს შეიმუშავა ეკონომიკის ახალმა ფონდმა.

HPI გააუმჯობესდა 4 ძირითადი მაჩვენებლის გამოყენებით:




სადაც:

- მუქარაქვევის სუბიექტური კვაყოფილების ზრდა
- სისუსხის ხანგრძლივობა
- ეკონომიკური კვალი (ინფლიაციის შემოქმედება გარეშე)

უთანასწორობის დონე


შედეგების უთანასწორობა – უთანასწორობა ქვეყნის შიგნით ხალხს შორის, თუ რამდენ ხანს ცხოვრობენ და რამდენად ბედნიერები არიან ისინი, გამოითვლება ქვეყანაში სიცოცხლის ხანგრძლივობისა და კეთილდღეობის მონაცემებზე დაყრდნობით. გამოიხატება პროცენტულად.

ბედნიერების საერთაშორისო ინდექსის 2016 წლის მონაცემებით




როგორც მონაცემები გვიჩვენებს, ბედნიერების საერთაშორისო ინდექსის მიხედვით, მონიშნავს ადგილები დაიკავეს შედარებით ნაკლებად განვითარებულმა ქვეყნებმა, განვითარებული ქვეყნები კი უფრო ბოლო ადგილებს ინანილებენ. მკვლევრები ამას იმით ხსნიან, რომ მიუხედავად ეკონომიკური სიღრმეებისა, მოსახლეობა ხასიათდება მეტი მხიარულებით, პოზიტივით და ისინი მაღალი მაჩვენებლით აფასებენ თავიანთ კეთილდღეობას. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, არის ინფორმაციის ფლობა. ინფორმაციის ნაკლებობა ზრდის ბედნიერებას, რაც ნაკლები იცის ადამიანმა გარე სამყაროზე, მით უფრო ნაკლებად ფიქრობს პრობლემებზე, შესაბამისად, ცხოვრებით კმაყოფილების დონეც უფრო მაღალია და, პირიქით, რაც უფრო მეტი ინფორმაცია აქვთ ადამიანებს გარე სამყაროსთან დაკავშირებით, მით მეტ რამეზე ზრუნვა და ფიქრი უწევთ მათ, რაც საბოლოო ჯამში ამცირებს ბედნიერებას.

იმას, რომ პლანეტის ყველაზე ბედნიერი ადამიანები ლათინური ამერიკის და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებში ცხოვრობენ, ამტკიცებს ორგანიზაცია ჯეტპაკი (Jetpac), რომელიც ცნობილია სოციალური ქსელების ანალიტიკით. ორგანიზაციამ მსოფლიოს ყველაზე ბედნიერი ქვეყნების სია ბოლო პერიოდში ინსტაგრამზე (Instagram) გამოქვეყნებული 150 მილიონი ფოტოს გაანალიზების შედეგად შექმნა. ბედნიერების კრიტერიუმად ანალიტიკოსებმა ფოტოებზე გამოსახული ადამიანების ღიმილი და ფოტოების „ლაიქების“ რაოდენობა აიღეს. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მსოფლიოში ყველაზე ხშირად ბრაზილიის (60,8) მოქალაქეები იღიმიან, ამ კრიტერიუმით მეორე ადგილზეა ნიკარაგუა (59,4), რომელსაც კოლუმბია (49,8), ბოლივია (48,1) და კოსტა-რიკა (47,4) მოსდევს. ინსტაგრამის ფოტოებზე აღბეჭდილ ბრაზილიელებს ბედნიერების საფუძველი აქვთ – მათი ეკონომიკა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდია და მოქალაქეების კეთილდღეობაც იზრდება. ბრაზილიელებს ბედნიერების განცდას მატებს ყოველწლიური კარნავალები, რომლებიც თებერვალში იმართება.



როგორც ვხედავთ, ბედნიერების მსოფლიო რეიტინგში წარმოდგენილი მონაცემები და ბედნიერების საერთაშორისო ინდექსის მიხედვით შედგენილი რეიტინგი ერთმანეთს არ ემთხვევა. მიზეზი განსხვავებული ეკონომიკური ცვლადებია, რომელთა გამოყენებითაც ხდება ამ ინდექსების გაანგარიშება.



ბედნიერების დონე საქართველოში

ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს, რომ 50% ადამიანის ბედნიერებისა განპირობებულია მისი გენეტიკით, 40% – ყოველდღიური ფიქრითა და ქმედებებით, 10% – ცხოვრებისეული გარემოებებით, ე.ი. უშუალოდ ჩვენზე დამოკიდებულია მხოლოდ 40%. ამდენად, მაქსიმალურად უნდა შევეცადოთ ჩვენზე დამოკიდებული 40%-ის სრულყოფილად გამოყენებას.

2019 წლის მსოფლიოს ბედნიერების ინდექსის მიხედვით, საქართველო 119-ე ადგილზეა 4,519 ქულით და ბევრად ჩამორჩება ევროკავშირ-

რის პოსტკომუნისტური ქვეყნების შესაბამის მაჩვენებელს. 2018 წლის მსოფლიოს ბედნიერების ინდექსის მიხედვით, საქართველო 4,34 ქულით 128-ე ადგილს იკავებდა. ამდენად, მან 9 ადგილით ზემოთ გადაინაცვლა. აღსანიშნავია, რომ საქართველო მხოლოდ ისეთ ქვეყნებს უსწრებს, როგორებიცაა: კონგო, მალი, სუდანი, განა, უკრაინა, მადაგასკარი. შედარებით ქვედა დონეზე არსებული ქვეყნები ხასიათდებიან ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიგა პროდუქტის დაბალი მაჩვენებლით, შედარებით მაღალი კორუფციის დონით, დაბალი სოციალური მხარდაჭერით და ა.შ.

რაც შეეხება ბედნიერების საერთაშორისო ინდექსს, 2016 წლის ანგარიშში საქართველოს მე-40 ადგილი უკავია 31,1 ქულით, ხოლო ინდექსის ჩაშლას შემდეგი სახე აქვს: ინდივიდების მიერ საკუთარი კეთილდღეობის შეფასება – 4,3 (10-დან), საშუალოდ სიცოცხლის ხანგრძლივობა – 74,6 წელი, უთანასწორობის დონე – 20%, ეკოლოგიური კვალი – 1,58. როგორც ვხედავთ, ძალიან დაბალი მაჩვენებელი აქვს ინდივიდების მიერ საკუთარი კეთილდღეობის აღქმას. ბედნიერების საერთაშორისო ინდექსის მიხედვით, საქართველო ბევრად უსწრებს ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებს და ლუქსემბურგსაც კი, რომელსაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიგა პროდუქტის მიხედვით.

გამოკითხვის შედეგები

ბედნიერების დონის დასადგენად სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში შერჩევითი პრინციპით გამოკითხვა ჩავატარეთ. კითხვები შედგენილი იყო ოქსფორდის უნივერსიტეტში ბედნიერების დონის დადგენისათვის შექმნილი კითხვარის საფუძველზე. ჯამურად გამოიკითხა 462 ადამიანი. მათგან სრულიად ბედნიერი (10-ბალიანი სისტემით 10-დან 10) აღმოჩნდა გამოკითხულთა 10,4%, მეტ-ნაკლებად ბედნიერი (10-დან 7) – 18,8%.

10.4%



(10/10)
სრულიად ბედნიერი



462

18.8%



(10/7)
მეტ-ნაკლებად ბედნიერი

ბედნიერებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმები ჯამურად ოჯახი, ჯანმრთელობა, სიყვარული და სულიერი სიმშვიდე აღმოჩნდა. მხოლოდ შემდეგ მოდის წარმატებული კარიერა, მეგობრები და სხვ. ყველაზე დაბალი რაოდენობა სტაბილურმა სამსახურმა, ქვეყნის განვითარების დონემ, ეკოლოგიურად სუფთა გარემომ მიიღო. როგორც ვხედავთ, გამოკითხვამ დაადასტურა მოსაზრება, რომ ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში დამოკიდებულება საშუალო შემოსავალსა და ბედნიერების საშუალო დონეს შორის ნათელი არ არის, რადგან სხვა მრავალი ფაქტორის გათვალისწინება საჭირო.



გამოკითხვის ანალიზის შედეგებმა ასევე აჩვენა, რომ მდებრობითი სქესის წარმომადგენლები უფრო ბედნიერები არიან, ვიდრე მამრობითი სქესისა. ასევე დადგინდა, რომ ასაკის მატებასთან ერთად იზრდება ბედნიერების დონე, ისევე, როგორც შემოსავლების ზრდისას. აღსანიშნავია, რომ დაუსაქმებელი ადამიანები აღმოჩნდნენ უფრო ბედნიერები, ვიდრე დასაქმებულები.

განათლების საფეხურის მიხედვით დოქტორანტები და დოქტორის ხარისხის მქონე ადამიანები უფრო ბედნიერები აღმოჩნდნენ, ვიდრე ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტები, ბაკალავრები და მაგისტრები. ყველაზე ბედნიერები პროფესიული განათლების მქონე ადამიანები არიან, შემდეგ კი – საშუალო განათლების მქონენი.

ამდენად, კვლევამ დაადგინა, რომ ბედნიერების შეგრძნება ყველაზე მეტად იმ ადამიანებს აქვთ, რომლებისთვისაც ბედნიერების განმსაზღვრელია ოჯახი, ჯანმრთელობა და სიყვარული.

და თქვენთვის რა არის ბედნიერება? რომელი ფაქტორები განსაზღვრავს თქვენს ბედნიერებას? ალბერტ აინშტაინის ბედნიერების რეცეპტი კი ასეთია

**მზიოდ და მოჰიქადაბოდ სხოვნებას
მეტი ბედნიერება მოაქვს,
ვიღრე წაჩმათაბის დეჰნას და მუდმივ
ლედვას, რას ამას ახლავს თან.**

